საბაკალავრო პროგრამის დასახელება: სკანდინავიური ფილოლოგია / Scandinavian Philology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Scandinavian Philology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კახაბერ ლორია

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, სრულყოფილად შეასწავლოს სტუდენტს სკანდინავიური ენები და ლიტერატურა, მიაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკანდინავიის ქვეყნების კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, გამოუმუშაოს შესაბამისი ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები. სასწავლო პროგრამები სკანდინავიური ფილოლოგიის /სკანდინავისტიკის სფეროში არსებობს მსოფლიოს მრავალ და ევროპის თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში. სკანდინავიის მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილება მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენს, გეოგრაფიულად ასევე განაპირა, ევროპულ და მცირერიცხოვან ქვეყანაში თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. სასწავლო პროგრამის განმავლობაში საუკეთესო სტუდენტებმა სკანდინავიური მხარის დაფინანსებით შეიძლება გაიარონ 1-2 თვიანი სასწავლო კურსი სკანდინავიის უნივერსიტეტების საზაფხულო სკოლებში და გრძელვადიანი (1-2 სემესტრი) სტაჟირება ხსენებული სასწავლებლების სკანდინავისტიკის ან მონათესავე პროფილის ინსტიტუტებსა და დეპარტამენტებში.

პროგრამის შედეგები:

პროგრამის დასრულების შედეგად ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი შეიძენს შესაბამის კომპეტენციათა ერთობლიობას. მას გამოუმუშავდება თეორიული თუ პრაქტიკული ფილოლოგიური საქმიანობისათვის აუცილებელ ზოგადი უნარ-ჩვევები, აითვისებს ორ სკანდინავიურ ენას პროფესიულ დონეზე, შეისწავლის სკანდინავიის ქვეყნების მრავალეროვან და უაღრესად მრავალფეროვან ლიტერატურას.

დასაქმების სფეროები:

მხატვრული თარგმანი; სათარჯიმნო საქმიანობა ბიზნეს-ფირმებში; სხვადასხვა სახის საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში და არასამთავრობო სექტორში; პედაგოგიური საქმიანობა (შესაბამის დამატებით (minor) სპეციალობასთან კომბინაციაში); საქმიანობა

ბიბლიოთეკებში, არქივებში, გამომცემლობებში, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასმედიის სფეროში, მუზეუმებსა და ტურისტულ ბიუროებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება:

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სკანდინავისტიკაში (სკანდინავიის და ევროპის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში); სკანდინავიურ ენებზე მიმდინარე სხვა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სკანდინავიის უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ და სხვა პროფილის ფაკულტეტებზე. ფილოლოგიური და ჰუმანიტარული პროფილის სამაგისტრო პროგრამები ევროპეისტიკისა და გერმანისტიკის, ასევე სხვა მონათესავე დარგებში (საქართველოსა და ევროპის უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში). ზემოაღნიშნული ძირითადი საბაკალავრო პროგრამა სკანდინავიურ ფილოლოგიაში ახლო მომავალში შეიძლება წარმატებით იყოს კომბინირებული თსუ-ს ფილოლოგიური პროფილის ძირითადი სპეციალობის სხვა პროგრამებთან ე.წ. ორმაგი ძირითადი (major) სპეციალობის რეჟიმში.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: მესამე სემესტრი

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E

41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის, თსუ-სა და საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებისა თუ კერძო კოლექციების ბაზაზე; თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრს აქვს კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი, მდიდარი ვიდეო და აუდიოთეკა, შესაბამისი ვიდეო და აუდიოტექნიკა.

დამატებითი (minor) პროგრამა

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: სკანდინავისტიკა

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კახაბერ ლორია

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია, შეასწავლოს სტუდენტს სკანდინავიური ენები და ლიტერატურა, მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია სკანდინავიის ქვეყნების კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. გაუღვივოს ინტერესი ამ მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილების ქართულ სინამდვილეში გამოყენებისათვის.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი დაეუფლება ნორვეგიული და შვედური ენების საფუძვლებს, შეიძენს გარკვეულ ცოდნას სკანდინავიური ლიტერატურის და საზოგადოების შესახებ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D

51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დასაქმების სფეროები: სათარჯიმნო საქმიანობა ბიზნეს-ფირმებში; სხვადასხვა სახის საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში და არასამთავრობო სექტორში; საქმიანობა ბიბლიოთეკებში, არქივებში, გამომცემლობებში, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასმედიის სფეროში, მუზეუმებსა და ტურისტულ ბიუროებში.

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს მესამე სემესტრიდან. სემესტრების მიხედვით კრედიტების აღება სტუდენტზეა დამოკიდებული, რა თქმა უნდა, გამოცხადებული საგნების გათვალისწინებით.